ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N --6

დ. ხულო **სახელმწიფო შესყიდვის შესახებ** 04.11.2019წ.

ერთის მხრივ, სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ ღორჯომის საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის რეზო გორგაძის სახით და მეორეს მხრივ შპს თამუნა მისამართი ხულო (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ომარ შანთაძის სახით წინამდებარე ხელშეკრულებით შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. . წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს საკანცელარიო, სამეურნეო და საოფისე საქონელი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1200 (ათასორასი) ლარს სახელმწიფო გადასახადების ჩათვლით. მისი (CPV კოდი: 31300000;31400000 31500000 31600000 31700000 14800000 18500000 18900000 22100000 22200000 22800000 30100000 30200000 32500000 37400000 39100000 39500000 44100000 44300000 44900000 45400000 60100000) სამეურნეო საქონლის

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი

4.2. შესყიდვა ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ხულოს მუნიციპალიტეტი სოფელ ღორჯომის საჯარო სკოლა

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2019წლის 26ოტტომბრიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის,

გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 4 ნოემბრიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმომწერები:

შემსყიდველი:
სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომის საჯარო სკოლა
მის: ხულოს მუნიციპალიტეტი სოფელი ღორჯომი
საიდენტიფიკაციო კოდი: 248 053 733
სს ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი: LBERTGE **22**
ა\ა. **GE 90 LB 0121198207321000**

დირექტორის მ/შ: /რ.გორგაძე./

ბ. ა.

მიმწოდებელი:
შპს თამუნა
მის ხულო
საიდენტიფიკაციო კოდი **448050395**
სს „საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE 22

ა/ა **GE 90 B G0000000574048100**

დირექტორი: /ო.შანთაძე/

ბ. ა. LTD TAMUNA

Digitally signed by LTD TAMUNA
Date: 2019.11.08 10:22:58 +04'00'